თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №7

თბილისი, 13 ოქტომბერი, 2025

სხდომა დაიწყო: 11:06 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- პაატა სალია – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ლანა მორგოშია – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ნინო ენუქიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე;
- ნინო თანდილაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გიორგი შარაბიძე – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- ქეთევან გოგელაშვილი – კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი კულტურის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- თამარ მემანიშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილის ნაცვლად;
- გოგა ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის ნაცვლად;
- ლევან ჩარგაზია – საქართველოს სპორტის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ალექსანდრე იმედაშვილი – საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ირინა ტატიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ანა აფრიდონიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) იურისტი;
- ამირან ჩაგუნავა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) სტაჟიორი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

1. გიორგი სანტურიანი – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- შორენა მირცხულავა – ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“;
- დავით ლილუაშვილი – ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- მაია ხარაძე – ა(ა)იპ „მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- დავით მათიკაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;

- ირაკლი ფხალაძე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“;
- ისაკი გიორგაძე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა პაატა სალიამ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. მისალმება;
2. კომისიის მანდატში შემავალი საკითხების განხილვა;
3. კითხვა-პასუხი;
4. კომისიის საქმიანობის შეჯამება.

ბატონმა პაატა სალიამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარეობს სხდომის აუდიოჩაწერა სხდომის ოქმის სათანადო დონეზე მომზადების მიზნით. ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვაზე, რომელიც შეეხებოდა პარტიის „გახარია – საქართველოსთვის“ წარმომადგენლის ერთ-ერთ განცხადებას სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მერობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრების ადგილებზე შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბალანსზე არსებულავტომობილებსამ საკითხზე სასაუბროდ სიტყვა გადაეცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი). ბატონი ნიკოლოზის თქმით, განცხადებაში ნახსენები ოთხივე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში წარმოდგენილი იყო არა განმცხადებლის მიერ გადაღებული, არამედ თავად კანდიდატების სოციალური ქსელებიდან აღებული ფოტომასალა. ბატონმა ნიკოლოზმა გაახმიანა მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ლაგოდეხის შემთხვევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ განცხადებაზე თანდართული ფოტოები გადაღებულია სექტემბრის 1, 3 და 11 რიცხვებში წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოსახლეობასთან

გამართული შეხვედრების დროს; საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების თუ სხვა ღონისძიებების ჩატარებისას მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მერი, არ იყენებენ და არ გადაადგილდებიან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილებით. შესაბამისად, ფოტოზე აღბეჭდილი არცერთი ავტომობილი არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში; განცხადებაში მხოლოდ ერთ ფოტოზე – 11 სექტემბერს ქალაქ ლაგოდეხში, კავკასიონის ქუჩაზე, მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ნამდვილად არის აღბეჭდილი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილი, რომელიც სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად დროებით სარგებლობაშია გადაცემული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეზე, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარე შეხვედრაზე არ იმყოფებოდა ზემოაღნიშნული ავტომობილით; ეს ავტომობილი იმ დროს გაუმართავ მდგომარეობაში იდგა იმ ქუჩაზე, სადაც იმართებოდა შეხვედრა; სურათშიც ჩანს, რომ მანქანა მოშორებითაა. საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლის ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, თუ როდის გააჩერა მან ავტომობილი იმ ადგილას (სამი დღის განმავლობაში ავტომობილი იმ ტერიტორიაზე იყო გაჩერებული).

სიღნაღის მუნიციპალიტეტის შემთხვევასთან დაკავშირებით (მერობის კანდიდატ მალხაზ ბეგიაშვილის მიერ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილის გამოყენება) ბატონმა ნიკოლოზმა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ 18 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას ასრულებდა მერის პირველი მოადგილე დავით დურგლიშვილი; ამ პერიოდში ბატონი მალხაზი იყო შვებულებაში და არ იყენებდა შესაბამის ავტომობილს. განცხადებაში ნახსენები შემთხვევის დროს, მაშინ, როცა შვებულებაში მყოფი ბატონი მალხაზი მოსახლეობასთან მართავდა სააგიტაციო შეხვედრას, ზემოაღნიშნული მერის მოადგილე სოფელ ვაქირში იმავე ტერიტორიაზე მდებარე სტადიონის მოსანახულებლად იმყოფებოდა და, შესაბამისად, ხსენებული მანქანა, რომელიც მოშორებით იდგა, სწორედ ამ დროსაა გადაღებული.

ახალციხის მუნიციპალიტეტის შემთხვევაზე ბატონმა ნიკოლოზმა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე დავით ტაბატაძე ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც განპიროვნებულია მის სახელზე, მიმდინარე წლის პირველ

სექტემბერს იმყოფებოდა სოფელ სვირის ადმინისტრაციულ ერთეულში 2025 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასათვალიერებლად და გასაცნობად სხვა თანმხლებ პირებთან ერთად; ბატონი დავითი დღის პირველ ნახევარში გამოცხადდა სამსახურში, რის შემდეგაც აღარ უსარგებლია სამსახურებრივი ავტომობილით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის შემთხვევის შესახებ ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ფოტოზე ჩანს მერობის კანდიდატი გიორგი მაჭავარიანი, თუმცა, არცერთ ფოტოზე არ არის მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე ბერიძიშვილი, რომელიც, ასევე, ნახსენები იყო; გარდა ამისა, კონსტანტინე ბერიძიშვილი ამჟამად ასრულებს მერის მოვალეობას. შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო, მსგავს შეხვედრებში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მუნიციპალიტეტის ავტომობილით. აქვე აღსანიშნავია, რომ მერიის შენობა, სადაც შეხვედრა მიმდინარეობდა, და საარჩევნო შტაბი მდებარეობს ერთ ქუჩაზე. შესაბამისად, ავტომობილის იმ ქუჩაზე დგომა არანაირად არ ნიშნავს, რომ იგი საარჩევნო მიზნებისთვის გამოიყენებოდა. ფოტოზეც ჩანს, რომ შესაბამისი ავტომობილი იმყოფება უკანა პერიმეტრზე და გზის კიდეზეა გაჩერებული. რაც შეეხება განცხადებაში წარმოდგენილ მეორე ფოტოს, რომელიც თითქოს ასახავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომობილს, ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ მასზე არ ჩანს ავტომობილის ნომერი და არც საქარე მინაზე ჩანს რაიმე სახის საშვი. შესაბამისად, უცნობია აღნიშნული ავტომობილის მფლობელის ვინაობა და არც მუნიციპალიტეტი ადასტურებს იმას, რომ ავტომობილი მათ ბალანსზეა. დანარჩენ ფოტოებში ჩანს მუნიციპალიტეტის ავტომობილები, თუმცა, მხოლოდ ეს ფაქტი არ ადასტურებს რაიმე სახის საარჩევნო სამართალდარღვევის ფაქტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციული შენობა და ის ადგილი, სადაც შეხვედრა გაიმართა, უბრალოდ, ერთ ქუჩაზეა. განცხადებაში წარმოდგენილ კიდევ ერთ ფოტოზე, რომელიც გადაღებულია ქალაქ გურჯაანში, რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფოტოზე ასახულ ადგილზე მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ხშირად უწევდათ გადაადგილება ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობისას. ფოტოზე ასახული ავტომობილით არ სარგებლობდა არც მერობის კანდიდატი გიორგი მაჭავარიანი და არც საკრებულოს თავმჯდომარე (სარგებლობს ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და

არქიტექტურის სამსახური). შესაბამისად, ავტომობილი იმყოფებოდა ზემოაღნიშნულ ობიექტზე. აღსანიშნავია, რომ განცხადებაში წარმოდგენილი ყველა ფოტო აღებულია მერობის კანდიდატ გიორგი მაჭავარიანის „ფეისბუქის“ გვერდიდან და სწორედ იმის გამო, რომ თავად კანდიდატის მიერ მიღებულ იქნა ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილიყო საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა, ვერ იქნება დაშვებული, რომ ფოტოზე მუნიციპალიტეტის ავტომობილის შემთხვევით მოხვედრა ვინმეს მიერ აღიქმებოდა და განიმარტებოდა როგორც ავტომობილის გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის.

ამის შემდეგ ბატონი პაატა სალია გადავიდა მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებულ შემდეგ საკითხზე, რომელიც შეეხებოდა „ტვ პირველის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას მასზედ, რომ ბათუმის მუსიკალური სკოლის თანამშრომლებსა და ორკესტრის წევრებს დირექტორის სახელით დაუკავშირდნენ და სთხოვეს თავიანთ უბნებზე 13:00 საათამდე მისულიყვნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა პაატამ სიტყვა გადასცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი).

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სამუსიკო სკოლას. კერძოდ, სიუჟეტში გაჟღერებული იყო დასახელებულ სკოლაში დასაქმებული პირის0 მიერ განხორციელებული ზარი. შესაბამისად, რეგიონული განვითარების სამინისტრომ სთხოვა საკითხზე პოზიციის დაფიქსირება როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, ისე სამუსიკო სკოლას. ბატონმა ნიკოლოზმა კომისიას გააცნო მათი პოზიცია და მოახსენა, რომ, მათი განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“ მიხედვით, სიუჟეტში ასახული ქმედება ვერ კვალიფიცირდება საარჩევნო აგიტაციად, რადგან ასეთად მიიჩნევა ქმედება, რომელიც მიმართულია მოწოდებისკენ – მხარი დაუჭირონ ან არ დაუჭირონ კონკრეტულ კანდიდატს ან პარტიას; ხსენებული სატელეფონო ზარი კი, შეეხებოდა მხოლოდ არჩევნებზე მისვლას, რაც კონსტიტუციური უფლების წახალისებაა. შესაბამისად, არ იკვეთება აგიტაციის რომელიმე ელემენტი, მოწოდება ან საარჩევნო კოდექსის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაწესის დარღვევა. ბატონი ნიკოლოზის თქმით, სიუჟეტი და სატელეფონო ზარი ცხადყოფს, რომ ეს იყო მხოლოდ შეტყობინება

თანამშრომლის მიერ არჩევნებზე მისვლის შესახებ კანდიდატის ან პარტიის მიუთითებლად, რაც არ არღვევს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, არ წარმოადგენს წინასაარჩევნო აგიტაციას, შეესაბამება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზანს და ემსახურება კონსტიტუციური უფლების რეალიზებას. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული კომუნიკაცია შედგა არასამუშაო დროს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

ამის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების თარიღის დაზუსტების თხოვნით.

ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) ხსენებულ საკითხზე, მსგავსად წინა სხდომისა, განაცხადა, რომ შედეგების გამოქვეყნების ბოლო თარიღი არის არაუგვიანეს 19 ოქტომბრისა, თუმცა, დამატებით აღნიშნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილია, თუ ყველა პროცედურა ამოიწურება, განიხილოს შეჯამების საკითხი. მისივე თქმით, 19 ოქტომბერი წარმოადგენს შედეგების გამოქვეყნების უკიდურეს ვადას.

ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნა, რომ კომისიის სამდივნოში დამატებით სხვა განცხადება არ შემოსულა, რაც შეიძლება განხილული ყოფილიყო კომისიის შემდგომი სხდომის ჩანიშვნის შემთხვევაშიც. შესაბამისად, როგორც მან განაცხადა, მიმდინარე სხდომა არის ბოლო, რის შემდეგაც იგი გადავიდა კომისიის საქმიანობის შეჯამებაზე.

მისი თქმით, კომისია იკრიბებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამასთან, ყველა სხდომაზე იყო კვორუმი, თითქმის ყველა წარმომადგენელი ესწრებოდა მას. კომისიამ განიხილა პოლიტიკური გაერთიანებების მიერ წარდგენილი და, აგრეთვე, მედიამონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ყველა საკითხი, რომელთა რიცხვიც, დაახლოებით, 25-ს შეადგენდა. ბატონი პაატას განმარტებით, კომისიამ თითოეულ საკითხზე იმსჯელა მისი მანდატის ფარგლებში და მოახდინა შესაბამისი რეაგირება. მან მადლობა გადაუხადა კომისიის ყველა წევრს, ვინც აქტიურად ითანამშრომლა კომისიასთან და წამოჭრილ კითხვებზე მოამზადა შესაბამისი პასუხი, რათა არცერთი საკითხი დარჩენილიყო პასუხგაუცემელი. ბატონი პაატას განცხადებით, კომისიის სხდომაზე აღნიშნული გარკვეული საკითხები გადაეცა გამომძიებას, რომელთა ნაწილსაც უკვე მოჰყვა რეაგირება, ზოგ მათგანზე

კი მიმდინარეობს გამოძიება, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვება და შედეგების შესახებ ეცნობება საზოგადოებას. ამასთან, ბატონმა პაატამ ყურადღება გაამახვილა კომისიის მიერ იმ საკითხებზე მსჯელობაზე, რომლებიც სცდებოდა კომისიის მანდატს. ამისთვის კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ მონაწილეს, რომელმაც კეთილი ნება გამოხატა და პასუხი გასცა კითხვებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვები სცდებოდა კომისიის მანდატს. ბატონმა პაატამ მადლობა გადაუხადა ყველას – როგორც წევრებს, ისე მოწვეულ სტუმრებს, კოორდინირებული და ნაყოფიერი მუშაობისთვის და წარმატებები უსურვა მათ.

სხდომა დასრულდა 11:20 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: პაატა სალია

კომისიის მდივანი: ლანა მორგოშია